

### **Tatmehrheit (Realkonkurrenz)**

Sowohl im **deutschen** als auch im **georgischen Recht** handelt es sich beim Institut der Tatmehrheit (auch als „Realkonkurrenz“ bezeichnet) um einen konkurrenzrechtlichen Grundsatz, der bei der Urteilsfindung im Rahmen der Strafzumessung zur Anwendung kommt. Er findet seine gesetzliche Regelung im **deutschen Strafrecht** in § 53 dStGB sowie im **georgischen Strafrecht** in Art. 16 Abs. 1 S. 1 gStGB und betrifft die Bildung der Strafe für mehrere voneinander unabhängige Handlungen, durch die entweder verschiedene Straftatbestände verwirklicht wurden oder derselbe Straftatbestand mehrmals verwirklicht wurde. Die Anzahl der Handlungen entspricht dabei der Anzahl der unabhängig voneinander begangenen Straftaten.

Im **deutschen Strafrecht** sieht § 53 dStGB für den Fall der Tatmehrheit die Bildung einer Gesamtstrafe vor, wobei dies gemäß § 54 dStGB nach dem sog. „Asperationsprinzip“ erfolgt. Dabei wird zunächst zwar für jede einzelne Straftat eine Strafe festgelegt, die ausgeurteilte Gesamtstrafe darf jedoch nicht in einer schlichten Addition der Einzelstrafen bestehen. Vielmehr dient die höchste Einzelstrafe (sog. „Einsatzstrafe“) als Ausgangspunkt, die dann unter Berücksichtigung der anderen Einzelstrafen erhöht wird (§ 54 Abs. 1 S. 2 dStGB). Die auf diese Art gebildete Gesamtstrafe muss dabei aber stets weniger als die Summe der Einzelstrafen betragen (§ 54 Abs. 2 dStGB). In der Praxis erfolgt einer Erhöhung meist um die Hälfte der zweitschwersten Strafe. Im **georgischen Strafrecht** wird bei der Strafzumessung hingegen nicht zwischen Tatmehrheit und Tateinheit unterschieden, sondern einheitlich das sog. „Absorptionsprinzip“ angewendet. Dabei wird zwar für jede verwirklichte Straftat gemäß Art. 59 Abs. 1 gStGB zunächst eine Einzelstrafe festgelegt, ausgeurteilt wird dann aber gemäß Art. 59 Abs. 2 gStGB nur die höchste Einzelstrafe. Erhält der Täter beispielsweise für einen Raub sieben Jahre Freiheitsstrafe, eine Vergewaltigung sechs Jahre Freiheitsstrafe und eine Körperverletzung vier Jahre Freiheitsstrafe, so absorbiert bei gleichzeitiger Aburteilung dieser Delikte die Freiheitsstrafe von sieben Jahren die anderen beiden Einzelstrafen. Etwas anderes gilt gemäß Art. 59 Abs. 3 gStGB nur bei Wiederholungstaten. In diesem Fall können die für die begangenen Straftaten jeweils ausgeurteilten Einzelstrafen teilweise oder vollständig zusammengerechnet werden. Dabei darf die Gesamtdauer der festgelegten Freiheitsstrafe jedoch 30 Jahre nicht übersteigen.

Durch die Anwendung des Absorptionsprinzips erweist sich das **georgische Strafrecht** im Fall der Verurteilung für mehrere in Tatmehrheit begangene Straftaten als deutlich täterfreundlicher als das **deutsche**, da die höchste Einzelstrafe nicht mehr erhöht wird, sondern bereits die Gesamtstrafe darstellt. (Mpi/Gtu)

**დანაშაულთა რეალური ერთობლიობა (ქმედებათა სიმრავლე)**

როგორც გერმანულ, ისე ქართულ სამართალში ქმედებათა სიმრავლის ინსტიტუტი (ასევე „დანაშაულთა რეალურ ერთობლიობად“ წოდებული) წარმოადგენს კონკურენცია-სამართლებრივ პრინციპს, რომელიც გამოიყენება განაჩენის დადგენისას სასჯელის განსაზღვრის ფარგლებში. იგი გერმანულ სისხლის სამართალში ნორმატიულად განსაზღვრულია გსსკ-ის 53-ე პარაგრაფში, ხოლო ქართულ სისხლის სამართალში სსსკ-ის მე-16 მუხლის 1-ელი ნაწილის 1-ელი წინადადებაში და ეხება სასჯელის დანიშვნას რამდენიმე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ქმედებისთვის, რომლებითაც განხორციელდა როგორც სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობები, ისე ერთი და იგივე დანაშაულის შემადგენლობა რამდენჯერმე. შესაბამისად, ქმედებათა რაოდენობა შეესაბამება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩადენილ დანაშაულებს.

**გერმანულ სამართალში** გსსკ-ის 53-ე პარაგრაფი ითვალისწინებს ქმედებათა სიმრავლის შემთხვევაში საერთო სასჯელის განსაზღვრას, რაც გსსკ-ის 54-ე პარაგრაფის მიხედვით ე.წ. „ასპერაციის პრინციპის“ გამოყენებით ხდება. მართალია ამ შემთხვევაში თავიდან ყოველი დანაშაულის შემადგენლობისთვის დამოუკიდებლად განისაზღვრება სასჯელი, თუმცა საბოლოოდ დანიშნული სასჯელი არ უნდა შედგებოდეს ცალკეული დანაშაულებისთვის განსაზღვრული სასჯელების მარტივი ჯამისგან. უფრო კონკრეტულად, ჩადენილი დანაშაულებისთვის გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სასჯელის ზომა (ე.წ. „გამოყენებადი სასჯელი“) გამოიყენება როგორც ათვლის წერტილი, რომლის გაზრდაც ხდება სხვა განხორციელებული დანაშაულებისთვის გათვალისწინებული სასჯელების მხედველობაში მიღებით (გსსკ-ის 54-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილის მე-2 წინადადება). როგორც წესი, ამ გზით დადგენილი საბოლოო სასჯელი ნაკლები უნდა იყოს ვიდრე ცალკეული დანაშაულებისთვის განსაზღვრული სასჯელების საერთო ჯამი (გსსკ-ის 54-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი). პრაქტიკაში ხდება ყველაზე მკაცრი სასჯელის გაზრდა მომდევნო მკაცრი სასჯელის ნახევრით. განსხვავებით ამისგან, ქართულ სისხლის სამართალში არ ხდება რა ქმედების სიმრავლესა (დანაშაულთა რეალური ერთობლიობა) და ქმედებათა ერთობლიობას (დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა) შორის გამიჯვნა და ერთიანად გამოიყენება ე.წ. „აბსორბციის“ (შთანთქმის) პრინციპი. ამ შემთხვევაში სსსკ-ის 59-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, თავდაპირველად სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისთვის, ამის შემდეგ კი სსსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საბოლოო სასჯელად განისაზღვრება მხოლოდ ყველაზე მკაცრი სასჯელი. მაგალითისათვის, თუ პირს ყაჩაღობის გამო დაენიშნა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, გაუპატიურებისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯანმრთელობის დაზიანებისთვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, აღნიშნული დელიქტებისთვის საბოლოო სასჯელის დადგენისას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შთანთქმავს დანარჩენ

## Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

ორ სასჯელს. განსხვავებული მიდგომაა სსსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში. ამ დროს შესაძლებელია ასევე თითოეული დანაშაულისთვის განსაზღვრული სასჯელების ნაწილობრივ ან მთლიანად შეკრება. ამასთანავე, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს.

„აბსორბციის“ (შთანთქმის) პრინციპის გამოყენებით ქართული სისხლის სამართალი უფრო მეგობრულია დამნაშავის მიმართ ვიდრე გერმანული ქმედებათა სიმრავლისას ჩადენილი რამდენიმე დანაშაულისთვის სასჯელის დადგენის შემთხვევაში, რადგან ამ დროს არ ხდება ყველაზე მკაცრი სასჯელის გაზრდა, არამედ იგი უკვე წარმოადგენს საერთო სასჯელს. (Mpi/Gtu)